**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

02 აგვისტო 2024

N 01/1/1326

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით **შპს „როუდ ლაინის“ მიერ წარდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელის ტერიტორიაზე, მეორადი საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშის განცხადება.**

სკრინინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენა უზრუნველყოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2024 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge.

ასევე, გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: 4 ფაილი (ელექტრონული ვერსია)

პატივისცემით,

ეკატერინე ბენდელიანი

ცენტრის დირექტორი - მ.შ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

https://edocument.ge/mea/public/#/1326-01/1-2-202408021232

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE